ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3415065

ნომერი: AR1523603

თარიღი : 17.07.2017

გაცემის თარიღი : 21.07.2017

გაცნობის თარიღი : 24.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , (ნაკვეთი 02/068) / ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოშრევან ნამორაძე პ/ნ 01018000728
- ჯავახიშვილის 22

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 17 ივლისს №AR1523603 განცხადებით მომართა ნოშრევან ნამორაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება ოქროყანა, შპს "კრწანისი ვილა რეზიდენსი KRTSANISI VILLA RESIDENCE"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.18.01.002.184), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე , მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 07 ივნისიდან 2018 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთან დაკავშირებით, კერძოდ, ავტოსადგომის ფართობად 459 კვ.მ-ის ნაცვლად 820.7 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლის მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 820.7 კვ.მ. კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 7 ივნისის №3308551 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.